2020 წლის განაცხადი

საგანმანათლებლო პროგრამისა და დოქტორანტის ხელმძღვანელობის შესახებ

1. უნივერსიტეტის პერსონალი ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და სტუდენტებისთვის ეფექტიანი აკადემიური კონსულტაციის გაწევაზე. ამ მიზნების მიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო მოვალეობაა, კერძოდ, იგი პასუხისმგებელია:

   - საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე, მის განხორციელებაზე, შიდა და გარე შეფასების უზრუნველყოფასა და მუდმივ განვითარებაზე;
   - სტუდენტების კონსულტირებაზე პროგრამის თავისებურებებსა და სხვა აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით;
   - პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებისა და უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავების გზით.
2. ამასთან, მნიშვნელოვანია დოქტორანტების მიერ ხარისხიანი კვლევის განხორციელება და ამ მიზნით მათი ხელმძღვანელების მიერ იმ პასუხისმგებლობის გაცნობიერება, რაც მათ ადეკვატურ კონსულტირებას მოიცავს იმგვარად, რომ მათ წარმატებით დაასრულონ სადოქტორო პრაგრამა. კერძოდ, ხელმძღვანელი ხელს უწყობს:

   - დოქტორანტის კვლევითი პროცესის დაგეგმვას;
   - დისერტაციის მომზადებულ ნაწილებზე უკუკავშირს, განვითარების მიმართულების მიცემასა და წარმატების მონიტორინგს;
   - სამეცნიერო სტატიების წინასწარ შეფასებას რეფერირებად ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად, ასევე სამეცნიერო გრანტების მოპოვებას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და ზოგადად, დოქტორანტის სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირებას;
   - დოქტორანტის მოტივაციის ამაღლებას.